



MES 5 20 00335625



10/04/2020

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2020 წლის 26 მარტს**.

Topic: **VET Quality**

Joining Zoom Meeting

<https://us04web.zoom.us/j/665774354?pwd=RE9Pd20xb2g2R2J5dkcvbDhKYUQ4dz09>

Zoom Meeting ID: 665-774-354

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ნანა ყუფუნია - მსოფლიო ბანკის პროექტის „მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება პროფესიულ განათლებაში“ კონსულტანტი, საბჭოს თავმჯდომარე (შემდგომში - თავმჯდომარე);

მარიამ ჩაგელიშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამაში „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“, საბჭოს მდივანი;

ნატო ქიტიაშვილი - სს „საქართველოს უძრავი ქონების“ გენერალური დირექტორის მოადგილე;

ნინო კაკულია - სსიპ - აწარმოე საქართველოში, ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი;

შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი;

გიორგი ხიშტოვანი - ა(ა)იპ პი ემ სი კვლევითი ცენტრის კვლევითი დირექტორი

გიორგი ტრაპაიძე - სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი

მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე

ნოდარ მამინაიშვილი - არაფორმალური განათლების ახალგაზრდული ცენტრი „მზიანი სახლი“

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

კახაბერ ერაძე - სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი;

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ირმა ინაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი

ოთარ გელაშვილი - სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანი

ნათია ბუთხუზი - სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი

გივი გოლეთიანი - სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის მენეჯერი

თამარ აფციაური - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროფესიული განათლების პროგრამების განყოფილების უფროსი

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:00 საათზე.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, ნანი დალაქიშვილმა განაცხადა, რომ თუ დამსწრე საზოგადოება წინააღმდეგი არ იქნებოდა, საბჭოს სხდომის ოქმის პროექტის მოსამზადებლად მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩანაწერის მომზადება და ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.

თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და აღნიშნა, რომ საბჭომ შეძლო ქვეყნისთვის კრიტიკულ პერიოდში სხდომა ჩატარებინა ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, რათა მიმდინარე ადმინისტრაციულ წარმოებებს პრობლემა არ შეექმნოდა, ამ რეჟიმში პირველად ტარდება საბჭო და დღის წესრიგისთვის ძირითადად ისეთი საკითხები შეირჩა, როგორიცაა გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანა, ყველას მადლობა გადაუხადა შეუფერხებელი ჩართვისთვის და ჯანმრთელობა უსურვა. საბჭოს სხდომას ჩაერთო სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი თამარ მახარაშვილი და მან მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს ასეთ ვითარებაში თანამშრომლობისთვის და წარმატებები უსურვა. შემდეგ თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სხდომის აუდიო ჩაწერა, ვიდეო ან ფოტოგადაღება ან პირდაპირი ტრანსლირება დაუშვებელია სხდომის მონაწილეთა წინასწარი თანხმობის გარეშე.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს ბარაკონისათვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 9 სექტემბრის N169 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს - ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 30 ივლისის N143 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს - ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-თვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 9 სექტემბრის N165 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
4. შპს - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 დეკემბრის N218 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
5. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგისთვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 9 სექტემბრის N167 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
6. შპს კოლეჯი ამაგის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 29 იანვრის N01 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
7. შპს ცხუმ-ეგრისისათვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 7 თებერვლის N16 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
8. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მოპოვების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 7 თებერვლის N10 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
9. სსიპ კოლეჯი „იბერიას“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის N28 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
10. სსიპ კოლეჯი „იბერიას“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის N28 გადაწყვეტილებაში, 2018 წლის 6 სექტემბრის N138 გადაწყვეტილებაში, 2019 წლის 19 მარტის N38 გადაწყვეტილებაში და 2019 წლის 22 მარტის N79 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
11. სსიპ კოლეჯი „იბერიასათვის“ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი „ელექტრობის“ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ 2019 წლის 13 ნოემბრის N219 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
12. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 27 აგვისტოს N55 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;

13. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „გეორგიასათვის“ საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 10 აპრილის N97 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
14. შპს ორიენტირის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 3 ივნისის N13 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
15. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 10 აპრილის N94 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
16. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის N29 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
17. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 10 აპრილის N99 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
18. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შეახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 10 აპრილის N100 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
19. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 1 ოქტომბრის N77 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
20. ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადისთვის“ საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 7 თებერვლის N13 გადაწყვეტილებაში ტექნიკური უზუსტობის გასწორების შესახებ საკითხის განხილვა;
21. შპს მარნეულის კოლეჯის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 4 თებერვლის N4 გადაწყვეტილებაში ტექნიკური უზუსტობის გასწორების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. საბჭოს წევრები დაეთანხმნენ დღის წესრიგს და საბჭომ ერთხმად დაამტკიცა დღის წესრიგი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს ნანი დალაქიშვილს ინფორმაცია მიეწოდებინა საბჭოსთვის იმ ცვლილებების შესახებ, რაც განხორციელდა კვალიფიკაციების, კერძოდ ასოცირებული ხარისხის კუთხით სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

ნანი დალაქიშვილმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას, იმასთან დაკავშირებით, რომ მათ ანგარიში გაუწიეს ამ ცვლილებების დროულად ასახვას, მან განმარტა, რომ ერთი ტიპის ცვლილებებია პირველი-მეხუთე და მეშვიდე-მერვე საკითხებით წარმოდგენილი და წარმოადგენს ამ ცვლილებებს.

ნანი დალაქიშვილმა ასევე განმარტა, რომ როგორც ცნობილია, 2018 წლის 9 ოქტომბერს ამოქმედდა „პროფესიული განათლების შესახებ“ ახალი კანონი. რომლის მიხედვით, გარდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა, სისტემაში შემოდის მოკლე ციკლის

პროგრამები. კანონის მე-3 მუხლის მ) პუნქტის განმარტებით: მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამა არის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-5 დონისათვის განსაზღვრული განზოგადებული სწავლის შედეგების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის შექმნის საფუძველია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი და რომელიც უკავშირდება ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამას ან ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონისათვის განსაზღვრული განზოგადებული სწავლის შედეგების შესაბამის იმ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც აგრეთვე გადის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებზე;

,თუმცა, ჯერ კიდევ არაა დამტკიცებული მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები. თავის მხრივ, ამავე კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებას მოიპოვებს ავტორიზაციის დებულებით დადგენილი წესით.

ავტორიზაციის დებულება დღემდე არ ადგენს მოკლე ციკლის პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების რაიმე სახის წესს.

მიმდინარე წლის 12 თებერვალს გამოქვეყნდა მინისტრის 11 თებერვლის ბრძანება 25/ნ რომლითაც ცვლილება შევიდა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებაში, რის შემდეგაც დებულება საერთოდ არ ითვალისწინებს მოკლე ციკლთან დაკავშირებით ჩანაწერს, რაც ნიშნავს, რომ საკითხი ჯერ კიდევ რეგულირების მიღმაა.

ავტორიზაციის დებულებაში, განსაკუთრებით კი პროგრამებთან დაკავშირებულ სტანდარტებში შესატანია მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული ნორმები, დასადგენია მისი დამატების საფასური და შესაცვლელია შესაბამისი განაცხადის ფორმები.

თუმცა, 2019 წლის იანვარში ხარისხის ცენტრის დირექტორის ბრძანებებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებში განხორციელდა ცვლილებები, რითაც სისტემაში, სამართლებრივი საფუძვლების არარსებობის პირობებში გაჩნდა მოკლე ციკლის პროგრამების შემუშავების და ასოცირებული ხარისხის გაცემის შესაძლებლობა. კერძოდ, კანონის საფუძველზე დაზუსტდა მისანიჭებელი კვალიფიკაციების ფორმულირება საბაზო, საშუალო და უმაღლეს პროფესიულ პროგრამებში, მათ შორის ექვს ჩარჩო დოკუმენტში:

"თევზსაჭერი გემის ნავიგაცია" - (დამტკიცების ბრძანება N656, 13.10.2017, კვალიფიკაციის ცვლილების ბრძანება N80/ი, 31.01.2019)

"საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაცია" - (ბრძანება N656, 13.10.2017, კვალიფიკაციის ცვლილების ბრძანება N80/ი, 31.01.2019)

"საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება" - (ბრძანება N656, 13.10.2017, კვალიფიკაციის ცვლილების ბრძანება N80/ი, 31.01.2019)

"საექთნო განათლება" - (ბრძანება N407/ი, 21.05.2018, კვალიფიკაციის ცვლილების ბრძანება N83/ი, 31.01.2019)

"ფარმაცია" (სააფთიაქო) - (ბრძანება N407/ი, 21.05.2018, კვალიფიკაციის ცვლილების ბრძანება N83/ი, 31.01.2019)

"ვეტერინარია" - (ბრძანება N574/ი, 28.06.2018, კვალიფიკაციის ცვლილების ბრძანება N86/ი, 31.01.2019).

კვალიფიკაციის ფორმულირებად განისაზღვრა ასოცირებული ხარისხი.

2019 წლის 16 თებერვალს კიდევ ერთი ცვლილება შევიდა აღნიშნულ ჩარჩო დოკუმენტებში, სადაც 2020 წლის 29 თებერვლამდე მისანიჭებელ კვალიფიკაციად განისაზღვრა მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია, 2020 წლის 29 თებერვლიდან კი - ასოცირებული ხარისხი. დღეისათვის უკვე დადგა ეს გარდამტეხი თარიღი, მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნეთ, რეგულაციები არ არის დადგენილი და შესაბამისად, ა) კოლეჯები უკვე არღვევენ

ავტორიზაციის დებულების მოთხოვნებს, აქვთ რა მოკლე ციკლის პროგრამა და არ აქვთ მასზე პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის კანონმდებლობასთან შესაბამისი წესები და ბ) ისინი ვერ განახორციელებენ ამ პროგრამებზე პროფესიული სტუდენტების მიღებას, სანამ კანონმდებლობით დადგენილი ჩარიცხვის წესები და პირობები არ გაიწერება კანონში და მინისტრის ბრძანებაში.

სამსახურმა არსებული სიტუაციიდან გამოსავალი შესთავაზა ცენტრის დირექტორს. კერძოდ, ცვლილება განხორციელებულიყო ჩარჩო დოკუმენტებში და ასოცირებული ხარისხის ნაცვლად მისანიჭებელ კვალიფიკაციებად განსაზღვრულიყო უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია, ხოლო როდესაც შესაბამისი, მოკლე ციკლის პროგრამებთან დაკავშირებული სამართლებრივი ბაზა მზად იქნება, მერე განხორციელდეს კვალიფიკაციის ცვლილება და თუ საჭიროა, მოხდეს არსებულის გათანაბრება; აღნიშნული ინიციატივის გაზიარების და შეთანხმების მიზნით პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ორგანიზება გაუწია სამუშაო შეხვედრებს ზემოაღნიშნული ჩარჩო დოკუმენტების შემუშავებაში ჩართულ პირებთან, რომელთაც მხარი დაუჭირეს ინიციატივას.

დირექტორის 2020 წლის 19 თებერვლის №№213263, 213232, 213264 ბრძანებებით შევიდა ცვლილებები სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 ოქტომბრის N656, 2018 წლის 21 მაისის N407/ი და 2018 წლის 28 ივნისის N574/ი (ბოლო ცვლილებები 2019 წლის 16 აპრილის N274/ი, N275/ი, N273/ი) ბრძანებებით დამტკიცებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებში და "თევზსაჭერი გემის ნავიგაციის", "საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის", "საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების", "საექთნო განათლების", "ფარმაციის" (სააფთიაქო) და "ვეტერინარიის" მისანიჭებელ კვალიფიკაციად განისაზღვრა უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია და კვალიფიკაციის დონედ - მეხუთე დონე, რადგანაც ახალი კვალიფიკაციების ჩარჩო არ ცნობს მეხუთე საფეხურის პროფესიულ კვალიფიკაციას. აღნიშნული ცვლილების თაობაზე ეცნობათ განმახორციელებელ დაწესებულებებს, რომლებმაც შეცვალეს მითითებულ პროგრამებში მისანიჭებელი კვალიფიკაცია და დონე და ცენტრში შემოტანილი წერილებით ითხოვეს საბჭოს წინაშე შუამდგომლობა საბჭოს გადაწყვეტილებებში შესაბამისი ცვლილებების თაობაზე. 23 დაწესებულების საკითხი გატანილ იქნა წინა საბჭოს სხდომაზე, ხოლო დღეს გაგვაქვს შვიდი საკითხი, წარმოგიდგენთ შუამდგომლობებსაც. ცვლილებების განხორციელება გამოწვეულია გადაუდებელი აუცილებლობით, რომელმაც შესაძლებელია გამოიწვიოს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფერხება და საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლების შეზღუდვა აღნიშნული პროგრამების განხორციელებასთან და ამ პროგრამებზე პროფესიული სტუდენტთა ახალი ნაკადის მიღებასთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის დებულების 53-ე მუხლის შესაბამისად, დაწესებულება ვალდებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შეცვლის შემთხვევაში, შესაბამისობაში მოიყვანოს პროგრამა და აცნობოს ცენტრს პროფესიულ სტუდენტთა მიღების გამოცხადებამდე. ახალი მიღების გამოცხადება არის ის მომენტი, როცა დაწესებულებას შესაბამისობაში უნდა ჰქონდეს მოყვანილი თავისი პროგრამა ჩარჩო დოკუმენტთან, რათა დაუდასტურდეს მას პროგრამაზე მიღების გამოცხადების უფლება და შესაძლებლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ ცენტრის წარმომადგენლებს მადლობა გადაუხადა განმარტებისთვის და მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დაეწყოთ,

1. შპს ბარაკონისათვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 9 სექტემბრის N169 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საბჭოს წევრებს შუამდგომლობით მიმართა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, ნანი დალაქიშვილმა, რომელმაც წარადგინა შპს ბარაკონისათვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 9 სექტემბრის N169 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი, ცვლილება ეხება ფარმაციის (სააფთიაქო) პროგრამის დონეს - მეხუთე დონე და მისანიჭებელ კვალიფიკაციას - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში - 0916.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბარაკონისათვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 9 სექტემბრის N169 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი, აქვე აღნიშნა, რომ რადგანაც ცენტრის დირექტორის მიერ 2019 წლის 16 თებერვალს დამტკიცებულ ჩარჩო დოკუმენტებში ასოცირებული ხარისხის ამოქმედების ვადად მითითებული იყო 2020 წლის 29 თებერვალი, რომელი თარიღისთვისაც ამოქმედება ვერ მოხერხდა, საბჭოს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ ამ კონკრეტულ გადაწყვეტილებაში და ასევე, მეორე-მეხუთე და მეშვიდე-მერვე საკითხების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 28 თებერვალი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს შპს ბარაკონისათვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 9 სექტემბრის N169 გადაწყვეტილებაში, კერძოდ,

გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (**დანართი 1**).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 28 თებერვალი.

მეორე საკითხის წარდგენამდე საბჭოს წევრმა გიორგი ხიშტოვანმა დასვა შეკითხვა ასოცირებულ ხარისხთან დაკავშირებით გადაწყვეტილებებში ცვლილებებთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ ეს დროებითი გამოსავალი იყო, თუ მას შემდეგ რაც ასოცირებულ ხარისხთან დაკავშირებული კანონქვემდებარე აქტები შემუშავდებოდა, ამის მერე კვლავ ხომ არ დადგებოდა დღის წესრიგში შესაბამის გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანის საკითხი.

ნანი დალაქიშვილმა საბჭოს წევრს განუმარტა, რომ მას შემდეგ რაც ცენტრის ინიცირებით ცვლილებები შევიდა ჩარჩო დოკუმენტებში, დაწესებულებებმა წარმოადგინეს შუამდგომლობა შესაბამის გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანის შესახებ. რადგანაც არ არის შემუშავებული მოკლე ციკლის პროგრამების შემუშავების წესი, არ არის შეთანხმებული, თუ სად იქნება ასოცირებული ხარისხი - პროფესიულში თუ ბაკალავრიატში.

აზრი გამოთქვა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილემ კახაბერ ერაძემ, იგი მიესალმა საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ თავდაპირველად პროგრამები იყო მეხუთე საფეხურის, ჩარჩო დოკუმენტებში შეცდომით ჩაიწერა ასოცირებული ხარისხი, ეს არის ტექნიკური ცვლილება, თუმცა მომავალში დაწესებულება წარმოადგენს შესაბამის პროგრამას, როგორც ახალ პროგრამას.

საბჭოს წევრმა გიორგი ხიშტოვანმა მიმართა კახაბერ ერაძეს, მას შემდეგ რაც შემუშავებული იქნებოდა შესაბამისი კანონქვემდებარე აქტები, თავიდან უნდა შემოეტანა თუ არა

დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამები, ამასთან დაკავშირებით კახაბერ ერაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას ხელახლა მოუწევდა ისეთი პროგრამების შემოტანა, რომელსაც ასოცირებული ხარისხი მიენიჭებოდა, თუმცა მან აღნიშნა, რომ ეს უკვე სხვა პროცედურა იქნებოდა.

2. შპს - ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 30 ივლისის N143 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საბჭოს წევრებს შუამდგომლობით მიმართა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, ნანი დალაქიშვილმა, რომელმაც წარადგინა შპს - ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 30 ივლისის N143 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი. ცვლილება ეხება ფარმაციის (სააფთიაქო) პროგრამის დონეს - მეხუთე დონე და მისანიჭებელ კვალიფიკაციას - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში - 0916. საექთნო საქმის პროგრამის დონეს - მეხუთე დონე და მისანიჭებელ კვალიფიკაციას - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში - 0913.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 30 ივლისის N143 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს შპს - ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 30 ივლისის N143 გადაწყვეტილებაში, კერძოდ,

გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (**დანართი 2**).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 28 თებერვალი.

3. შპს - ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-თვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 9 სექტემბრის N165 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საბჭოს წევრებს შუამდგომლობით მიმართა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, ნანი დალაქიშვილმა, რომელმაც წარადგინა შპს - ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-თვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 9 სექტემბრის N165 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი. ცვლილება ეხება ფარმაციის (სააფთიაქო) პროგრამის დონეს - მეხუთე დონე და მისანიჭებელ კვალიფიკაციას - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში - 0916. საექთნო საქმის პროგრამის დონეს - მეხუთე დონე და მისანიჭებელ კვალიფიკაციას - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში - 0913.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენაშპს - ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-თვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 9 სექტემბრის N165 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს შპს - ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA-თვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 9 სექტემბრის N165 გადაწყვეტილებაში, კერძოდ,

გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 3)**.

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 28 თებერვალი.

4. შპს - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 დეკემბრის N218 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საბჭოს წევრებს შუამდგომლობით მიმართა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, ნანი დალაქიშვილმა, რომელმაც წარადგინა შპს - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 დეკემბრის N218 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი. ცვლილება ეხება ფარმაციის (სააფთიაქო) პროგრამის დონეს - მეხუთე დონე და მისანიჭებელ კვალიფიკაციას - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში - 0916.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 დეკემბრის N218 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს შპს - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 დეკემბრის N218 გადაწყვეტილებაში, კერძოდ,

გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 4)**.

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 28 თებერვალი.

5. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგისთვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 9 სექტემბრის N167 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საბჭოს წევრებს შუამდგომლობით მიმართა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, ნანი დალაქიშვილმა, რომელმაც წარადგინა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგისთვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 9 სექტემბრის N167 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი. ცვლილება ეხება ფარმაციის (სააფთიაქო) პროგრამის დონეს - მეხუთე დონე და მისანიჭებელ კვალიფიკაციას - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში - 0916. საექტონო საქმის პროგრამის დონეს - მეხუთე დონე და მისანიჭებელ კვალიფიკაციას - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექტონო საქმეში - 0913.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგისთვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 9 სექტემბრის N167 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგისთვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 9 სექტემბრის N167 გადაწყვეტილებაში, კერძოდ,

გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (**დანართი 5**).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 28 თებერვალი.

6. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 29 იანვრის N01 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საბჭოს წევრებს შუამდგომლობით მიმართა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, ნანი დალაქიშვილმა, რომელმაც წარადგინა შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 29 იანვრის N01 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი, ცვლილება ეხება ექტონის თანაშემწის მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების საკითხს. დაწესებულების ინფორმაციით, კოლეჯში უკვე დასრულდა სასწავლო პროცესი ექტონის თანაშემწის საგნობრივ პროგრამაზე და ითხოვს ამ პროგრამის გაუქმებას, რაც შესაბამისად იწვევს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შემცირებას. შესაბამისი წერილი მიეწოდა საბჭოს.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 29 იანვრის N01 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 29 იანვრის N01 გადაწყვეტილებაში, კერძოდ,

გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 6)**.

პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 207-ით.

7. შპს ცხუმ-ეგრისისათვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 7 თებერვლის N16 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საბჭოს წევრებს შუამდგომლობით მიმართა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, ნანი დალაქიშვილმა, რომელმაც წარადგინა შპს ცხუმ-ეგრისისათვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 7 თებერვლის N16 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი, ცვლილება ეხება ფარმაციის (სააფთიაქო) პროგრამის დონეს - მეხუთე დონე და მისანიჭებელ კვალიფიკაციას - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში - 0916.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ცხუმ-ეგრისისათვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 7 თებერვლის N16 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს შპს ცხუმ-ეგრისისათვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 7 თებერვლის N16 გადაწყვეტილებაში, კერძოდ,

გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 7)**.

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 28 თებერვალი.

8. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 7 თებერვლის N10 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საბჭოს წევრებს შუამდგომლობით მიმართა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, ნანი დალაქიშვილმა, რომელმაც წარადგინა ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 7 თებერვლის N10 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი, ცვლილება ეხება საექთნო განათლების პროგრამის დონეს - მეხუთე დონე და მისანიჭებელ კვალიფიკაციას - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში - 0913.

